№ 350. პარასკევი, 24 ოქტომბერი. 1896–1897 პარასკევი, 24 ოქტომბერი, **№ 350.**

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

მორთული ოთახები
„პალმირა“
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, თამამშევის სახლებში
ოთახები 50 კაპ. 2 მან. დღე ღამე და თვეობითაც კერძო მორიგებით
იქვე მშვენიერი ზალა საგანგებოდ მორთული
სადაც გაიმართება ქორწილები, ნადიმები, მეჯლისი და აგრეთვე კრებები, რაიც მსურველთ ერთობ იაფად დაეთმობათ
მივაქცევ საზოგადოების ყურადღებას, რომ ნომრები კარგ გადასახედ ადგილზეა.
გამგებელი სანდრო თუიძე
Роскошно и изящно меблированные комнаты
„ПАЛЬМИРА“
Тифлисъ, Михайловская, домъ Тамамшева. (15—4)

ხე-ტყის ქარხანა და შეშის საწყობი
თავ. ნიკოლოზ ესტატეს ძე თარხნიშვილისა
ტფილისი, ვერაზე, ოლღის ქუ. მაკაროვის მამულში
იყიდება ყოველგვარი ხე-ტყის მასალა, შეშა მუხისა, რცხილისა, წიფლისა, ფიჭვისა და სხვა, ქვა-ნახშირი და ჩვეულებრივი ნახშირი, ქერი.
ფასი ყველაფერზე იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ и ДРОВЯНОЙ СКЛАДЪ
Кн. Николая Евст. Тархапъ-Моуравова
Тифлисъ на Верѣ, Ольгинская улица, имѣніе Макарова (противъ Кирпичной улицы)
ПРОДАЮТСЯ:
Разные строительные матеріялы. Каменный и древесн. уголь
Дрова: грабовыя, дубовыя, чинаровыя и пр. породъ. Ячмень.
Цѣны на всѣ предметы общедоступны.
Ручательство и гарантія (30—18)

თავ. ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძე
ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1-ლ ივლისიდან
გაჰმართა საკუთარის ტყისაგან
შეშის სავაჭრო საწყობი
ქ. ტფილისში, ვოგზალის მახლობლად, ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან.
შეშა დიდ-ძალია კარგის თვისებისა რცხილისა და კოპიტისაგან
ფასები საგანგებოდ იაფია
მსურველთ შეუძლიანთ მთელის წლობით იქონიონ ერთისა და იმავე ღირსების შეშა. დიდძალი შეშა იყიდება აგრეთვე შეშის მოვაჭრეებზე ვაგონებით.
უმთავრესი კანტორა საწყობთან არის.
ДРОВЯНОЙ СКЛАДЪ А. Г. Мачутадзе. (10—8)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
✱✱✱✱ ფასი მასალებისა მეტად იაფია ✱✱✱✱
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: Батумъ, кн. Дим. Мачутадзе, ანუ Очемчиры, Т. Чачава.
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—223)

ქართული თეატრი
კვირას, 26 ოქტომბერს
ქართული დრამატიული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ
გაძარცული ფოსტა
მელოდრამა 5 მოქმ. თარგ. ვ. აბაშიძისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. კარგარელისა, საყვარელიძისა, გარელისა; ბ.ბ. აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აზრამოვი და სხვა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 საათზე
რეჟისორი კ. მესხი

მოწაფეთა საყურადღებოდ
ახლად კურს დამთავრებული
მასწავლებელი ქალი
ღებულობს შეგირდებს მოსამზადებლად საქალებო და სავაჟო სასწავლებლებში.
პირობის შეტყობა შეიძლება: ჩუღურეთში, მეორე გონჩარის ქუჩა № 2, ყოველ-დღე დილის 10—1 საათ. და საღამოს 5—6 საათამდე. (10—9)

მოსამზადებელი და გამოსაცდელი
კურსები
ღებულობენ მოწაფე ქალებს და ვაჟებს. მასწავლებლად მოწვეულნი არიან ყველა საგნებისათვის საშუალო სასწავლებლის მასწავლებელნი.
ამზადებინებენ გაკვეთილებსაც
მსურველნი მიჰმართავენ მასწავლებელს ი. ა. ზვერიოვს და მასწავლებელ ქალს ა. ა. ზვერიოვისას, გრიბოედოვის ქ. № 4.
მშობელთა საყურადღებოდ. ყველა ამ კურსებზე მომზადებული ბავშვები მიღებულ იქმნენ საშუალო სასწავლებლებში და გამოცდა საუკეთესოდ დაიჭირეს გიმნაზიებში, კორპუსში, რეალურში და სხ.
სწავლა დილით და საღამოთიც არის
Подготовительные и репетиціонные
КУРСЫ
Грибоѣдовская ул. № 4.
(10—7)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
ც. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო 10½—11½ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და უცრის ყვავილს.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11½—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. ზუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანცი 6—6½ ს.
ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ზედაკანის ავად.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница Д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

Цѣна 1 шт. 2 р.
Наилучшій подарокъ для самого себя
2 шт. 3 р. 75 к.
ШТЕМП.
ПОРТМОНЭ со ШТЕМПЕЛЕМЪ

(15—6)
საუკეთესო საფულე (პორტმონე) მშვენიერის ტყავიდან (აპოიკიდან) 5 განყოფილებით, 1 განყოფილება ვერცხლის ფულისათვის და ერთიც კერძოდ ოქროსათვის დასაკეტი ღილით.
ამავე საფულეს აქვს გაწყობილი კაუჩუკის ბეჭედი თავის წამლებით და სხვა მოწყობილობით.
ბეჭედში შეიძლება მოთავსდეს სახელი, მამის სახელი, გვარი და წოდება, ვინც-კი მოისურვებს. ზომა აქვს 2¼×1¾ ვერშოკი.
აგრეთვე იყიდება ქალებისათვისაც კოხტა, ლამაზი და მშვენიერი ზომით 1¾×1½ ვერ. იმავე ფასში.
ამგვარივე საფულეები, ხოლო უკეთეს მასალიდან შაგრენის და ტიულენის ტყავიდან 50 კ. მეტია.
ფასები გაგზავნით ყველგან რუსეთის იმპერიაში ერთის 2 მან., წყვილისა 3 მან. 75 კაპ.
გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.
Требованія прошу адресовать
Въ контору фабрики америк. каучук. штемпелей
М. ФИШМАНЪ
ВАРШАВА
Бѣлянская 13
Просятъ ссылаться на настоящее изданіе

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

22 ოქტომბერი

პეტერბურგი. სატახტო ქალაქის ყველა ეკლესიებში გადახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის და უავგუსტოესის სახლეულობის სადღეგრძელოდ. ქალაქი ბაირაღებით მორთეს და საღამოს გააჩირაღდნეს.

სუაკიმი. გემი „კოსტრომა“ ჯერ კიდევ ვერ მოაშორეს რიფს. ინგლისის გემები „ნადერი“ და „სმუტა“ ოთხჯერ ამაოდ სცდილობდნენ ამოეთრიად იგი. მოვიდა რუსეთის გემი „პეტერბურგი“: მოელიან კიდევ ერთს გემს რუსეთისას.

სტამბოლი. ოფიციალის წყაროდამ სჩანს, რომ უსაფუძვლოა „სტანდარტ“-ის ნაამბობი, ვითომ შეიარაღებას აპირებდნენ.

დღესაც მოლაპარაკება აქვთ შეთანხმების შესახებ.

სტამბოლი. სომეხთა პატრიარქი უმზადებს სულთანს სახსოვარს წერილს, რომელშიაც აღნიშნული აქვს ხალხის უკიდურესი მდგომარეობა და დახმარებას თხოულობს.

ბულგარია არ დაკმაყოფილდა უკანასკნელის პირობებით; ბულგარეთის წარმომადგენელი მარკოვი ხელ-ახლავ მედგრად თხოულობს დანაპირების აღსრულებას შესახებ ბერატებისა.

* * *

ახალი ამბავი

⁂ **სატეხნოლოგიო ინსტიტუტში მომავალი ვაკანსიები.** მომავალს წელში იმპერატორის ნიკოლოზ 1 სატეხნოლოგიო ინსტიტუტში 300 ვაკანსიით მეტი იქნება წლევანდელზე. („სვეტ“.)

⁂ **შედავათი ებრაელთა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლოდ უცვნია შეიცვალოს განკარგულება, რომლითაც განსაზღვრული იყო ებრაელთა მიღება აფთექის შეგირდებათ და საფერშლო და კბილის ექიმთა სასწავლებლებში.

⁂ **მფლობელობის ვადის შესახებ.** უმართებულესის სენატის გამორკვევით ათის წლით განსაზღვრულს მფლობელობის ვადას არ აქვს მნიშვნელობა მამულების გამიჯვნის გამო ატეხილ დავათა შესახებ.

⁂ **ახალი ქართული წიგნი.** ბ-ნი ივ. მაჭავარიანი შესდგომია ქართულად თარგმნას ერთის ფრიად საჭირო ისტორიულის თხზულებისას. ეს წიგნი გახლავსთ: „რომაელთა და ბერძენთა ძველთა მწერლთა ცნობანი კავკასიის შესახებ“ შტრიტერისა, რომელიც რუსულად სთარგმნა ბ-მა გინმა. ჩვენს ისტორიკოსს ბ-ნს თ. ჟორდანიას თავისი თანხმობა განუცხადებია, ამ წიგნს კომენტარიებს და საჭირო ისტორიულს განმარტებს მე გავუკეთებო. ამით ხომ ერთი ორად მიეცემა ფასი ამ წიგნს ქართულ მკითხველებისათვის. ბ-ნს მაჭავარიანს განზრახვა აქვს თავისი შრომა ჯერ „მოამბეში“ დაბეჭდოს.

⁂ **უწესოების ბუდე.** ქალაქის პირველს ნაწილში, ზემო ჭავჭავაძის ქუჩაზედ, აუარებელი კინტოები და ქუჩის მაწანწალა ბიჭები იყრიან თავს. აქ დილიდან საღამომდის გაცხარებული ყომარის თამაშობაა გაჩაღებული. ამ თამაშობის დროს, ვინ იცის რა არ ხდება ამათ შორის: ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება, უწმაწური სიტყვები და სხ., რის გამოც ძლიერ შეწუხებულნი არიან ზემოხსენებულის ქუჩის მცხოვრებნი ამთგან, რასაკვირველია სხვანიც, ამ უბნის ბავშვებიც სწავლობენ ლანძღვა-გინებას, უწმაწურ სიტყვებს, ითვისებენ იმათს ყოფა ქცევას და ისინიც ირყვნებიან. სამწუხაროდ, ამ ქუჩას პატრონი არავინა ჰყავს, რომ როგორმე მოაშოროს აქაურობას ეს კინტო-ყომარბაზები, რომ მათის ყურებით აქ მცხოვრებთა პატიოსან ოჯახის შვილებიც არ გაირყვნან!

აქაური ქუჩის დარაჯები კარგად ხედავენ, როდესაც აქ გაცხარებული თამაშობაა, კარგადაც ესმისთ მათი ჩხუბი, ყვირილი და აყალ-მაყალი, მაგრამ თითქო ყურებში ბამბა აქვთ დაცმული და არაფერი ესმითო, ყურადღებასაც არ აქცევენ. აქაური მცხოვრებნი იძულებულნი არიან სახლიდან გარედ არ გამოუშონ ბავშვები, თორემ უმსგავს კინტოა-ყომარბაზთაგან, ვინ იცის რას არ ისწავლიან!

კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს და განსდევნიდეს აქედან ამ ვაჟბატონებს, რომ აქამდის ამათგან შეწუხებულმა ხალხმა იქნება ამას შემდეგ მაინც მოისვენოს და აღარ გაიგონოს ლანძღვა-გინება და უწმაწური სიტყვები.

⁂ **უყურადღებოთ დატოვებული ქუჩა.** ისეთი თავ მინებებული და უყურადღებოდ დატოვებული ქუჩა როგორც არის ვერის „ახალი გოლანდია“, არა მგონია კიდევ იყოს სადმე, ზაფხულში სხვა და-სხვა უწმინდურებისაგან კაცს ვერ გაუვლია და შემოდგომა-ზამთარში (მაგალითად დღეს) კიდევ გუბექაობებისაგან. არ ვიცით ღმერთმანი რასა ფიქრობს ქალაქის გამგეობა, მაგრამ თავის მოწყალე თვალებს ჩვენ იგი არ მოგვაქცევს?! როგორც გავიგეთ ამ ქუჩის ყველა სახლის პატრონებს თხოვნაც ჰქონიათ წარდგენილი სადაც ჯერ არს, მაგრამ დღემდე (როგორც სჩანს) თხოვნა თხოვნათ არის დარჩენილი და ქუჩაც გუბე-ქაობებად. დროა მიაქციონ თავიანთი ყურადღება, და აგვაშორონ თავიდგან მეეტლეებისაგან მოძღვნილი ლანძღვა გინება, რომელიც აუცილებელი ჯილდოა იქით გამვლელთათვის

⁂ **მადლობის გამოცხადება.** ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენის გაზ. „ცნობის. ფურცლის“ საშუალებით, უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო, პატივცემულ იაგორ ტეტუნაშვილს, რომელიც ვერის ვაჭრებს უპატრონო ნოქრებს ქართულს წიგნებს გვაწოდებს ხოლმე და მით, შეძლებისა და გვარად წიგნის კითხვის წყურვილს გვიკლავს.

ი. ვერელი.

⁂ **ოზურგეთი. ხმოსანთა საბჭოს დადგენილება.** 6 ოკტომბერს ოზურგეთის თვითმართველობის ხმოსნებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც განიხილეს სამი საგანი.

პირველად ქალაქის თავმა თ. ნ. თავდგირიძემ ხმოსნებს მოახსენა, რომ უნდა ვითხოვოთ, ჩვენი ქალაქი ზოგიერთ ხარჯისაგან განთავისუფლებულ იქმნასო. საქმე ის გახლავსთ, რომ ამ ჟამად ქალაქი ოზურგეთი ფულს იხდის ადგილობრივის სატუსაღოს შესანახავად, იგივე ქალაქი იხდის ბინის ქირას იმ ჯარის კაცებისას, რომლებსაც სამსახურის ვადა გასვლიათ, მაგრამ მაინც დარჩენილან სამსახურში. მოგეხსენებათ, ქალაქი ღარიბია და ყოველის ზედ მეტის ხარჯის გაღება მისთვის მეტად სამძიმოა. ხმოსნებმა განიხილეს ეს კითხვა და დაადგინეს, მთავრობასა ვსთხოვოთ ამ ხარჯისაგან განგვათავისუფლოსო.

ადრევე არჩეულ იყო ადგილობრივთა მკვიდრთა მიერ კომისია, რომელსაც უნდა შეეცვალოს ქალაქში მიმდინარე წყლების კალაპოტი. ხსენებულ კრებაზე ამის შესახებაც ჰქონდათ ლაპარაკი. ხმოსნებმა მოიწონეს არჩეული წევრები კომისიისა და დაადგინეს, ვითხოვოთ ხსენებულის კომისიის წევრები დაამტკიცონ და მათი დადგენილებაც სისრულეში მოიყვანონო.

სოფლებიდან ჩამოსულ ხალხის ცხენებს დღემდე დუქნებს უკან თავლებში აბამდნენ ზოგმა ის აზრი წარმოსთქვა, ეს აღვკრძალოთო და ამით ქალაქს სისუფთავე დაეტყობაო. ეს აზრი უარ ყოფილ იქმნა. მხოლოდ მის მაგიერ სხვა გზას დაადგნენ. გადასწყვიტეს, რამდენსამე ადგილას თავლები გამართონ და მომსვლელთ იქ დააბან ცხენიო. მხოლოდ ამ თავლების სისუფთავეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცესო.

ბახმაროელი.

⁂ **მოიდანახე.** (გურია) **თავგასული ქურდობა.** ყოველ შემოდგომაზედ, როდესაც ნამუშავარი მილაგდება, მაშინვე უდგებიან ქურდ-ბაცაცები და ვის ჭურიდან ღვინოს ამოაცლიან, ვის-სიმინდს მოჰპარავენ ნალიიდან და ვის რას, ღმერთმა უწყის! 12 ოკტომბერს, შაბათს ღამით, ს. მოიდანახეში მცხოვრებს აროშიძეს გაუტეხეს ბეღელი წაიღეს 65 მანეთი ფული, 12 თუმნის საძირალი ოქროულობა და სხვა საოჯახო ხირაგები. იმავე ღამეს გასტეხეს ე. ღ—ის ბეღელი და წაიღეს 200 ღერი ჩურჩხელა, რამოდენიმე ქილა სიმინდი და სხვა წვრილმანი საქონელი. არ გასულა ოთხი დღე, რომ ა. ს—ძეს მოპარეს სამზარეულოდან რამოდენიმე ქილა სიმინდი. ვინ მოსთვლის კიდევ რა ოინები ჩაიდინეს ქურდ-ბაცაცებმა.

არ ვიცით, რა გვეშველება! დაიწყებენ ახლა ქურდობას და თვითეულმა მოსახლემ უნდა მთელი ღამე იდარაჯოს რომ არავინ მოვიდეს, თორემ სხვა არავინაა მისი პატრონი და ყურის მგდებელი. კარგი იქნება, რომ ახლა მაინც მიაქციონ ყურადღება, ვისიც ჯერ არს და მოგვასვენოს ამ ქურდ-ბაცაცებისაგან, თორემ თქვენი მტერია, ჩვენ აგვიკლებენ.

კორსანტელი.

⁂ **თელავი. ჩვენებური ახალგაზდა სწავლული.** გერმანეთიდამ ახლად დაბრუნებული ბ-ნი ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი, რომელსაც საზღვარ-გარედ შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტისა ფილოსოფია შეუსწავლია და რომელიც ამ ახლო ხანში აპირებს პეტერბურგს წასვლას, გვპირდება რამდენიმე ლექციის წაკითხვას. ჯერ-კი პატარა წრეს აცნობებს კანტის „კრიტიკა პრაქტიკული გონების“ შინაარსსა. ეს პირველია ახალ თაობაში ფილოსოფიის მცოდნე და იმედია, ახლო მომავალში „ფილოსოფოსად“ მონათლულ იქმნას. დიდი ხანია ქართულს ენაზე ფილოსოფიურს საკითხებს არვინ შეხებია და ბ-ნ ანდრონიკაშვილისაგან სრული იმედი გვაქვს, ქართულს ენაზე ვერს რასმე შემოგვძღვნის. ტერმინების გასაცნობად უნდოდა ანტონ კათალიკოსის ნათარგმნი და ორიგინალი ნაწერები გადაეკითხნა, მანამ შინ იყო, მაგრამ რამდენსამე სათხოვარზე „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ყური მოუყრუა. თუ საზოგადოების გამგენი თხოულობენ, რომ თვით ბ-ნი ანდრონიკაშვილი ჩავიდეს ტფილისს და ადგილობრივ შეისწავლოს, ეს დასაჯერებელი არ არის, რადგანაც იციან, რომ მთხოვნელისათვის ეს მოუხერხებელია. მაშ რას მივაწეროთ, აქნობამდის უყურადღებობა? დარწმუნებული ვარ, უბრალო რამე გაეხირებოდა ამ საქმეს და საზოგადოება დროზე მოაწვდის ნათხოვნ წიგნებს, რომ ერთის მხრივ წიგნე-

თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა.

გუშინ-წინ ქართულს თეატრში წარმოდგენილი იყო ახალი პიესა ი. იგულისაშვილისა „ცხოვრება ბრძოლაა“. რა თქმა უნდა, ყოველ ქართველისათვის და მეტადრე მეთვალყურესათვის სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ყოველი ცდა და ნაბიჯი ჩვენის დრამატიულ მწერლობისა, და ამ მხრივ მე სრულიად თანავუგრძნობ ჩვენს რედაქტორს, რომელმაც იმავე საღამოს მიმართა რამდენსამე ახალგაზდას - გამოეთქვათ თავისუფლად „ცნობ. ფურცელში“ თავიანთი აზრი და შთაბეჭდილება გულისაშვილის ახალ პიესაზე. სხვა რომ არა იყოს-რა, ამით ცალ-მხრივს მსჯელობას მაინც აცდება გაზეთი, და ცალ-მხრივობა, როგორც ყველამ ვუწყით, ერთი უძლიერესი და მოარული სენია ამ ჩვენის უკანასკნელ დროისა...

მე, ვითარცა „ნაფიცი“ შემატიანე თეატრისა, ვეცდები გამოვსთქვა ჩემი აზრი გულისაშვილის პიესაზე; ხოლო სანამ რასმე ვიტყოდე თვითონ პიესაზე, საჭიროდ მიმაჩნია გამოვთქვა ჩემი შეხედულება საზოგადოდ დრამატიულ მწერალზე. ამის განმარტება მით უფრო მიმაჩნია საჭიროდ, რომ მას შემდეგ ჩემი მსჯელობაც თვითონ პიესის ავ-კარგიანობაზე უფრო გასაგები იქნება თვით იმისთვისაც-კი, ვინც არ დამეთანხმება რაშიმე.

ყოველისავე ხელოვნების ბუნება უცილობლად შეიცავს ყოველ მხრივს მშვენიერებას, ხოლო ყოველისფერი მშვენიერი მჭიდროდ არის დამოკიდებული ყოველსავე ზნეობრივზე. მშვენიერი და ზნეობრივი, ვითარცა პირი და სარჩული ერთი და იმავე საგნისა, განუშორებელნი არიან.

მშვენიერი წარმოსდგება ადამიანის ფანტაზიიდან და ეგრედ-წოდებულ ესტეტიურ გრძნობიდან, ხოლო ზნეობრივი—შედეგია ადამიანის გონებისა, მართლ-მსჯელობისა და საზრვისა. ფანტაზია ჰქმნის სურათს, ხატს და საზოგადოდ გარეგნობას (ფორმებს), ხოლო გონება—აზრს, მიმართულებას და მსჯელობას. ყოველს ხელოვნებაში და განსაკუთრებით დრამატიულში აუცილებლად საჭიროა ზემოდ-ხსენებული შემოქმედებითი ძალა—ფანტაზია და გონება, სურათი და აზრი. ფანტაზია ჰქმნის სურათს, აზრი-კი ამ სურათს სისხლ-ხორცს ასხამს, სულს და სიცოცხლეს აძლევს...

აშკარაა, დრამატიულ მწერალს საკმაოდ უნდა ჰქონდეს მომადლებული ფანტაზია და გონება. ყოველი დრამატიული თხზულება, მიუხედავად მისის სხვა და სხვა გვარობისა (დრამა, კომედია, ტრაგედია, ვოდევილი და სხვა.) უნდა წარმოადგენდეს ერთს სრულს, უმეტ-ნაკლებო და დამთავრებულს სხეულს, რომელიც დამყარებული უნდა იყვეს ერთს რომელსამე დედა-აზრზე.

ამ დედა-აზრზე უნდა იქმნეს აშენებული მოქმედება, მომქმედი პირები, ხასიათები, მდგომარეობანი და სხვა. სიმარტივე, სისწრაფე, მოკლედ მოჭრილი სიტყვა-პასუხი, თანდათანობა მოქმედებაში და სიმართლე ყოველს ნაბიჯში—აი, ეს არის უმთავრესი ტეხნიკა პიესისა. რა თქმა უნდა, პიესის დაწერა ძნელია და რთულიც. საგანი პიესისა—თვალ-წინ წარმოდგენა ორ—სამ საათის განმავლობაში მთელის ცხოვრებისა, მისის უსწორ-მასწორობით, ბრძოლით და გრიგალით; ყველა ამების აკინძვა და ანუსხვა და ფილოსოფიურად განსჭვრეტა ცხოვრების უკულმართობისა-დიახაც ძნელზე ძნელია. „რა ვნახე თეატრში“? აი ის აუცილებელი კითხვა, რომელსაც მაყურებელი აძლევს მწერალს და რომელზედაც, სამწუხაროდ, ათასში ერთხელ თუ უპასუხებს პირ-ნათლად მწერალი და ისიც დიდის ნიჭის პატრონი...

ბ-ნ გულისაშვილს, სასიამოვნოდ, ფანტაზიაც აქვს და გონებაც შესწევს პიესის წერისათვის, მაგრამ ერთიც და მეორეც ჯერ-ჯერობით შეუმუშავებული აქვს. მისი „ცხოვრება ბრძოლაა“, როგორც დრამატიული თხზულება, მეტად სუსტია.

დრამატიული თხზულებისათვის საკმარისი როდია სხვა და სხვა სცენების დიალოგებით შეკოწიწება, სხვა და სხვა ჯურის პირთა ერთმანერთთან შებმა თუ შეკავშირება, ამა თუ იმ აზრის და შეხედულობის გამჟღავნება...

დრამა ცხოვრებაა, ხელოვნური სურათი ნამდვილის, შესაზარის ცხოვრებისა; სწორედ ამ ცხოვრების ბრძოლის დასურათ-ხატებაა, რომლის შეჰქმნა მოუნდომნია ჩვენს ახალგაზდა მწერალს და რომელიც მხოლოდ აღუწერია. ასეთს აღწერას, ასეთს მოთხრობას ცხოვრების ბრძოლისას, შეიძლება, რაც გნებავთ, ვუწოდოთ, ხოლო არა დრამატიული თხზულება, არა ხელოვნური პიესა.

ჩვენს ახალგაზდა ავტორს მოთხრობა, რომანი, ან თუნდა ფელეტონებიც რომ დაეწერა იმავე საგანზე, ის უფრო ძლიერს ზედ-გავლენას იქონიებდა საზოგადოებაზე, ვიდრე მისი ოთხ მოქმედებიანი პიესა.

თუ დამეთანხმებიან, რომ დრამატიული თხზულება ხასიათების წარმოდგენაა მოქმედებაში და ზედ-მეტი ზნე-ჩვეულებათა და ყოფა-ცხოვრების დასურათ-ხატებაა ხალხის გრძნობა-გონების დასაკმაყოფილებლად, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ბ-ნის გულისაშვილის პიესაში ხასიათების წარმოდგენა სრულებით არ არის და, რაც შეეხება ზნე-ჩვეულებათა ტიპიურად აღნუსხვას, ეგეც მეტად მკრთალად არის ნაჩვენები.

ტასიაშვილი.

(გაგრძელდება)

22 ოქტომბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ახალი 4 მოქმედებიანი პიესა იერ. გულისაშვილისა. შინაარსი ამ პიესისა არ მოგვყავს, რადგან პიესა დასტამბულია და უთუოდ ყოველმა ქართველმა იცის.

პიესა, როგორც მკითხველიც დამეთანხმება, ცხოვრების გულიდამ ამოღებულია. ავტორის ნიჭსა და

[illegible] ბიბლიოთეკა

ით და მეორეს მხრივ მცოდინარებ კაცით ისარგებლოს ქვეყანა.

ნადიკვრელი.

⁂ **დ. ჩურუქსუ.** უსარგებლო წიგნები. „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ აქვს გამოგზავნილი რამდენიმე წიგნი ქართველი მწერლების მიერ შედგენილი, დაბა ჩურუქსუს მცხოვრებლის გულ-ადა კაიკაციშვილის სახელზედ, იმ მიზნით, რომ მსურველთ შეეძლოსთ ისარგებლონ წიგნებით, მაგრამ ზემოდ ხსენებული კეთილი განზრახვა უსარგებლოა ყველასთვის ორივ მხრით: პირველი, რომ აქაური ქართველობა გართულია ყავა-ხანებში ბანქოს თამაშობით და რაიცა დიდად აწუხებს მათ ცოლ-შვილს და დედ-მამას. ამას გარდა ერთი კვირა იქმება ბატონს გულ-ადა კაიკაციშვილს ვსთხოვ წასაკითხად წიგნსა და ჩემი თხოვნა მუდარებით რომ თავი მოვაწყინე, ასე მიპასუხა: ჩემმა შვილმა დაბეჭდა ყუთი და ისე წავიდაო; ამის სიტყვებისაგან სჩანს რომ მინამ მისი შვილი, რომელიც ოდესის უნივერსიტეტში სწავლობს, არ დაბრუნდება, იმ ყუთის გაღებაც არ შეიძლება. ეს სამი ოთხი დღეა განუწყვეტლივ წვიმს აქა.

ნიკ. კეთილაძე.

⁂ **დ. აბაშა** (სამეგრელო) ახლად აღმოჩენილი რკინა-სპილენძის მადანი. ს. ჟუჟში (სენაკის მაზრა) აზ. ჩიქოვანების მამულში აღმოჩენილა სპილენძის და რკინის მადანი. ეს მადნები უკვე შეუსყიდნია ერთ საზღვარ-გარეთელ ფრანგს და მისის აზრით რამოდენიმე მილიონი ფუთი უნდა გაიტანოს დაბა აბაშის რკინის გზის სადგურიდან.

თუ ეს მართლა ასე მოხდა და ადგილობრივმა ვაჭრებმაც ეცადეს, რომ უსათუოდ აბაშას არ ასცილდეს გზა მადნის გადასატანად, კარგ მომავალს უნდა მოველოდეთ ახლომახლო აბაშის მცხოვრებლები და თვითონ დ. აბაშელებიც. იქნება ჩვენი დაბაც რასმე დაემზგავსოს და წელში გაიმართოს...

აქეთ მოსავლის მოწევა თან-დათან თავდება, ხოლო უდროო დროს ავდრებმა ძლიერ შეუშალა ხელი მუშა ხალხს; როგორც ამბობენ მოსავალი გვარიანი არის.

ბან-დონ.

⁂ **დ. ახალ-სენაკი** (სამეგრელო). დილიჟანის კონდუქტორის თავგასვლა. როგორც მოგეხსენებათ, ზუგდიდსა და ახალ-სენაკს შუა მიდი-მოდის ყოველ-დღე რამდენიმე დილიჟანი, რომელიც სხვა-და-სხვას ეკუთვნის. ამ ორ დაბას შუა დილიჟანთა ყოველ-დღიური მიმოსვლა, რაღა თქმა უნდა, დიდი ღვთის წყალობაა, მაგრამ ამ წყალობას ხან-და-ხან სრულებით აქარწყლებს ზოგიერთ მედილიჟნე კონდუქტორის უზრდელი ქცევა და სიტყვა-პასუხი უნებურად იქცევს მგზავრთა ყურადღებას. განსაკუთრებით ერთი ამ კონდუქტორთაგანი, ტან-დაბალი, თვალებ გამოკუზული და თმა-ქაღალა, თავისის მოურიდებელის საქციელითა და უშვერის ენით.

ამას წინად, მაგალითად, ისეთის უწმაწურის სიტყვებით მიჰმართა ამ ვაჟბატონმა ერთს დილიჟანით მიმავალს მანდილოსანს, რომ კაცის ყურს არ გაეგონება.

სასურველია, რომ ამ დილიჟნის პატრონები თავისის ინტერესისათვისმე შელაგმავდნენ უზრდელ მოჯამაგირეებს და შეაგონებდნენ უფრო შესაფერს მოქცევას მგზავრებთან.

გრიგრი.

⁂ **ქ. ფოთი.** სადგისი ტომარაში არ დაიმალების! ამას წინად აქაურ ღვინით მოვაჭრეთ მ—ანს, არ—ანს და გ. გ—ს თავიანთი მოჯამაგირე ძლიერ გაუჯავრებიათ. ალბად აწოდა გული საწყალ მოსამსახურეს, რომ ასე მკაცრად ლანძღავდა თავისს „ალა-პარუნებს“: გამიშვით, თქვენი არაფერი არ მინდა, თქვე ასეთ-ისეთებო, თქვე მატყუარებო და ხალხის მძარცველებოვო. გაიძახით, ვითომ „კაპიტალისტები“ ხართ და იმიტომ ღვინის იაფად გაყიდვა ხელს გაძლევსთო. განა თქვენ არა ხართ, რომ ოთხასი ფუთი წყალი გაყიდეთ ჩემს აქ ყოფნაში ღვინის მაგიერად და ამ წყალ-წყალო ღვინოში ფუთზე ოთხ მანათს აძრობდით ხალხსაო!“ აი ცხონდა მამაშენი—გაიძახოდა ხალხი, რომ სიმართლეს ამბობო!

კულაშისპირელი

⁂ **დ. ნაოღალევი** (სამეგრელო). ახლად გაყვანილი ჯარისკაცები. 15 ოქტომბერს გვეწვივნენ ნაოღალევში ჯარის-კაცთა მომწოდებელნი წევრნი. მათში თავმჯდომარედ იყო სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწე ლაზარენკო. 15 და 16 ამ თვეს თხოვნებს ღებულობდნენ და 17-ს კი კენჭის ყრა მოხდა, ხოლო 18-ს ამოარჩიეს სამხედრო სამსახურში გასაყვანი სამოც-და-ათი კაცი, რომლებიც ერთი-მეორის უკეთესნი იყვნენ თვალ-ტანადობით. ბ. ლაზარენკომ მიჰმართა მათ მგრძნობიარე სიტყვით და აუხსნა მათ მოვალეობა სამსახურისა. სხვათა შორის თქვენის გაზეთის მოამბე „მარტვილელიც“ იქმნა მიღებული, რომელსაც ძლიერ სასიამოვნოდ დაურჩა.

ჩვენკენ ავდრები იყო და ტალახმა ძრიელ შეგვაწუხა. საზოგადოდ ნაოღალევი ყოვლის მხრით შემკულია: სამკითხველო, ბაზრის მოედანი, სასეირნო ბაღი და სხვა, მაგრამ ჯარის-კაცთათვის სახლი არა აქვს და საჭიროა ეგეც აშენდეს, რათა მომავალს წელს მაინც მზად იყოს სადგომი, ჯარის-კაცთა მოწოდების დროს საჭირო.

კარიეთელ-გორდელი.

შემოწირულება

სტუდენტების სასარგებლოდ

ჩვენ მივიღეთ ოდესის სტუდენტების სასარგებლოდ:

ალექ. გაბელიასაგან — —	60 კ.
ლევანისაგან — — —	10 კ.
წინანდელი იყო (იხ. № 335)	2 მ.
სულ	2 მ. 70 კ.

რედაქცია ღებულობს ყოველგვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლიანთ შემოწირულება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. შემომწირველთა სია ყოველთვის დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული.

ვალერ. გუნია.

რედაქციისაგან

ტფილისში. ი. ვარდოსანიძეს. წერილი კბილის ექიმ ქალზე, და რომელსაც ასე უწვალებია ინფანტე გაგუა, მანამ ვერ დაიბეჭდება, სანამ თვითონ დაშავებული გაგუა არ მოგვწერს წერილს.

ქუთაისში. გ. გ—ს. ილია ჭავჭავაძის იუბილეისათვის უკვე შესდგა კომიტეტი, რომელიც ამ დღეებში შეჰყრის კრებას, რომელსაც მოახსენებს თავის აზრს ამ დღესასწაულის შესახებ.

ქუთაისში. ანტ. ნინუას. გაზეთი გეგზავნებათ სურვილისამებრ, მაგრამ ადრესის გამოცვლაში ორი აბაზი გვერგება.

დ. სამტრედიაში. ქიკნარელს. თქვენი წერილი უქმე დღეში მუშაობის შესახებ აღარ დაიბეჭდება. უქმობა გაჩენილია მდიდრებისათვის, ვისაც კუჭი შიმშილით ეწვის, იმას რა უქმობისა ცხელა. ღარიბი და უბედური კაცისათვის უქმე მაშინ არის, როცა საქმე და სამუშაო არა აქვს. ხოლო მოვაჭრეთათვის უქმეებში ვაჭრობა იმიტომ აღკრძალეს, რომ ნოქრებისა და მოსამსახურეთათვის გამუდმებული შრომაში და ჯაფაში ექვსიოდე საათი მაინც თავისუფლება მიენიჭებინათ.

ყვირილაში. ნარეკალს „უცნაური ამბავი“ თქვენი განმარტების შემდეგ ბარემ გვინდოდა დაგვებეჭდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ალ. არ—ძეს შეუძლიან მიმართოს ბოქაულის საქციელზე მაზრის უფროსს და თუ აქ ვერ გასჭრა, უფრო მაღალი ბატონიცა ჰყავთ ბოქაულებს. უსამართლობა არავის შერჩება.

საექიმო ცნობება

მეჭეჭის წამლობა. მეჭეჭს ეძახიან იმ მეტ ხორცს, რომლებიც ზოგჯერ ხელზე, ფეხზე, ცხვირზე და სხვა მრავალ ადგილებზეა ხოლმე ამოსული ძალიან ადვილია მეჭეჭის მოშორება: უნდა მიაჭრა ლეღვის ტოტი, იმას რომ თეთრი რძესავით წვენი გამოსდის ის უნდა წაისვათ რამოდენიმე გზით და მეჭეჭს მალე გააქრობს. ეს წამლობა მე თითონ გამოვცადე ჩემს სახლში ჩემს მსახურზე, რომელსაც ფეხზე სიმინდის მარცვალისავით ჰქონდა მთლად მოფენილი. რამოდენიმეჯერ ამ ლეღვის რძის ხმარებამ სრულიად გაუქრო.

ბოგაშელი.

საოჯახო ცნობანი

სარის გადარჩენა დალპობისაგან. სარის დალპობისაგან გადასარჩენად საკმარისია სარის წვერი, რომელიც მიწაში უნდა მოჰყვეს, ამოავლოთ სელის ზეთში და ქვა-ნახშირის ფქვილში.

წვრილი ამბავი

სურათის გადამღებთა საყურადღებოდ. ქ. ლიბაველი სურათის გადამღები შემდეგს დარიგებას იძლევა სურათის გადამღებთა საყურადღებოდ: მუქი ფერის ტანთ საცმელი უხდებათ: მსუქანს მანდილოსნებს, მამა-კაცთა და საზოგადოდ შავგვრემანებს; ღია ფერისა გამხდრებს, ფერ-მკრთალებს და ბავშვებს; მაღალ-კისრიან მამა-კაცებმა სურათის გადაღების დროს უნდა გაიკეთონ მაღალი საყელოები, მანდილოსნებმა-კი ხავერდის საყელო და დაბალ კისრიანებს ეგ არ მოუხდებათ. ლურჯი და ცისფერი მუდამ თეთრად გამოდის სურათში, ხოლო წითელი და ყვითელი ფერი ბნელად. შნოიანი გამოდის სურათში: ხავერდი, აბრეშუმი, ნახევარ-აბრეშუმი და

დაკვირვებას დაახლოვებით შეუთვისებიათ თვალ-საჩინო მდინარეობა თანამედროვე ჩვენის ცხოვრებისა, ხასიათი, ზნეობრივ კანონთა შეფერხება, მოთხოვნილებათა და საშუალებათა შეუთანხმობა და შედეგი უხასიათობის, სულ-მოკლეობის, რომელიც გამოწვეულია გარყვნილებისა და უპრინციპობისაგან. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ავტორს სამწუხაროდ ეს ცხოვრების სურათის სიმართლე ვერ დაუმორჩილებია სცენიურის მოთხოვნილებისათვის! უმთავრესს ღირსებას ავტორისას ის შეადგენს, რომ მან არ დაივიწყოს პირობანი და საშუალებანი სცენისა და სიმცირე დროისა, რომელმაც მრავალიწამები ცხოვრებისა, მისი რთული ხასიათი, წაღმა-უკუღმა ტრიალი პრინციპებისა და საშუალებათა და საზოგადო მორალის ყოველ თითოეულს შემთხვევაში სხვა-და-სხვა ნაირად განსჯა და გაზომა,—სავსებითა და სიმართლით გამოსახოს მაყურებელთა თვალთ-წინ; რომ ამგვარმა შემუშავებამ დრამატიულის ნაწარმოებისამ უფრო ცოცხლად და მკაფიოდ დაგვისურათოს იგივე სინამდვილე ცხოვრებისა და უფრო ღრმა კვალი გაავლოს ადამიანის გონებასა და გულს. ჩვენ გვგონია, რომ ამ მხრით ახალი პიესა ბ. იერ. გულისაშვილისა ვერ აკმაყოფილებს მართლ-მოთხოვნილებას. მაგალითად მოქმედებანი ნამეტანი ვრცელნი და რეზონიორობით აღსავსენი არიან და ზოგიერთა როლები მეტად ძნელი აღსასრულებელნი მსახიობთათვის.

მტკიცეთა გვრწამს, რომ ლევანის როლს, რომელიც ავტორს უფრო კარგათ, სინამდვილით და თავ-შეკავებით აქვს დასურათებული, ვერც ერთი არტისტი, გარდა ტალანტით აღსავსე ვას. აბაშიძისა, ვერ შეიძლებდა. რომ მსახიობმა მთელი ნახევარი საათის განმავლობაში სცენაზე განუწყვეტლივ იმახვილოს ისე, რომ საზოგადოების ყურადღებისა და თანაგრძნობის სიმები ხელიდამ არ გაუშვას— იშვიათი მოვლენაა... აქვე არ შევვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ერთ მახინჯ ჩვეულებათ ჩვენს ახალგაზდა მწერლებს ის გაუხდიათ, რომ სტუდენტის ტიპი უეჭველად ჭლექიანი უნდა დაგვისახონ! ნუ თუ სტუდენტი და ჭლექი განუშორებელნი უნდა იყვნენ? რა საჭიროა პიესისათვის ასეთი პირობა და რას სძენს კერძოთ ბ-ნ გულისაშვილის პიესას -- ეგნატე მაღალდაძის ჭლექია? სრულიად არაფერს. ეს ამტკიცებს მხოლოდ წახედურებას უნაყოფო და უაზრო ახალგაზდა, სენტიმენტალურ მწერალთა ჩვეულებისას. ვერც გლეხი-კაცის ჩაჩიკას (კანდელაკი) როლი აქვს სიმართლით დახასიათებული: არავის გაუგონია, რომ რომელიმე მებატონემ, ისიც 60—70 წლისამ, მისცეს ნება თავისს ფარეშს, ამოსვრილს და ამოგანგლულს, იქვე „მდივანზე“ ფეხშემოდებული ჩამოჯდეს და ბაასი გაუბას... მაგრამ იმედი გვაქვს ყოველსავე ამას ყმაწვილისა და ჯანსაღის ავტორის ცდა და დაკვირვება შემდეგში გაასწორებს და კიდევ ბევრჯერ მიუძღვნის ჩვენს ღარიბს ლიტერატურას თავისს ნაწარმოებს უფრო მეტის ღირსებით აღსავსეს.

რაიცა შეეხება თამაშს, უნდა ვსთქვათ, რომ როლის უცადინარეობა, ჩაუხედავობა ამა თუ იმ ტიპის სულ'სა და გულში შეუთანხმეობა ერთმანერთთან სიტყვებისა და მიმიკისა საკმაოდ იჩენდა თავს. რასაკვირველია ყოველივე ამას აშორებული იყო ვ. აბაშიძე ლევან მაღალდაძის როლში, რომლის შეუდარებელმა და სიცოცხლის სინამდვილით აღსავსე თამაშმა ჩაუდგა სული თვით პატარასაც და საზოგადოების აღტაცებასაც ფრთები გააშლევინა. ურიგოთ არ ასრულებდა ახალგაზდა ლამაზ თამაროს როლს ქ. კარგარეთელისა; დიდათ გაამჯობესა მან თავისი თამაში შარშანდელთან შედარებით, რაიც იმედს გვაძლევს, რომ ამ ცოტა მომავალში ცდისა დ ბეჯითობის შემწეობით ქ. კარგარეთელი საზოგადოების სრულს თანაგრძნობას მოიპოვებს. მხოლოდ არ შევვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ სულ თავის ქნევა და თვალების ხუჭვა არ შეადგენს ყოველს გვარის გრძნობის გამომსახველ მიმიკას და რომ ამ ნაკლს ასცდენოდეს ახალგაზდა არტისტკა არ იქნებოდა ურიგო. ქ-მა გამყრელიძისამ და ბ. სვიმონიძემ ძალიან სუსტად ჩაატარეს საუმჯობესო ადგილი პიესისას, როდესაც მარიამი რამაზსა სთხოვს ჭეშმარიტების გამჟღავნებას და რამაზიც ყოველივეს ეუბნება მას და თანაც გადაჭრით ეუბნებ, რომ ის მასთან აწ ყოველსავე კავშირსა სწყვეტს და სულსა და გულს სხვას უძღვნის. ეს საუმჯობესო მომენტი, ვიმეორებთ, დაიღუპა პიესაში. ჩვენ ამაში არა ვსდებთ ბრალს ქ-ნს გამყრელიძისას მისათვის, რომ მარიამის როლი სრულიად მისი საქმე არ არის და არც მისათვის უნდა მიეცათ იგი; ეს როლი ისეთმა დრამატიულ—არტისტკამ უნდა ალასრულოს, როგორიც არის ქ-ნი ეფ. მესხი. თორემ ამ უღლის გაწევა არ შეუძლიან ისეთს არტისტკას, რომელიც ცქრიალა როლების აღსრულებაში ჰპოულობს დაკმაყოფილებას და უიმედობისა, ღრმა როლისა და მწუხარების გამომსახველად მას ძალ-ღონე არ შესწევს. რამაზ ორგულაძის როლი, ჩვენის ფიქრით, ბ. ალექსი-მესხიშვილზედ არის გამოჭრილი და მისი სავსებით აღსრულება ყველას არ შეუძლიან...

ვოდევილმა „მოტიამ“ საზოგადოება ძლიერ ასიამოვნა. შეუდარებელნი იყვნენ: ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა, ვ. აბაშიძე და გედევანოვი. მათმა ერთმანერთთან შეხამებულმა თამაშმა სიცოცხლით, სიმკვირცხლით და ნიჭით აღსავსემ დაავიწყა საზოგადოებას ყოველივე ნაკლი წინა პიესაში მოთამაშე მსახიობთა და საზოგადო აღტაცება გამოიწვია. ცოტა ამ შთაბეჭდილებას ხელს უშლიდა ახალგაზდა არტისტკა—რიონელის თამაში (მოტიას როლში). ეს აიხსნება მით, რომ არტისტკამ არ იცის ჯერ-ჯერობით ქართული ენა და ეს ნებას არ აძლევს, რომ გულის ყური თამაშს მიაპყრას. იმედია ამასაც მოკლე მომავალი შეავსებს.

გრ. აბაშიძე.

შალი, არ არის კარგი ფერ-უმარილის წასმა. თუ თმა წითური აქვთ. საჭიროა ოდნავ მოაყარონ პუდრა და მეტად ჭაღარა თმა-წარბები ცოტათი გაიშავონ. ბავშვების და პირუტყვთა გადაღება უმჯობესია შუადღისას და კარგს დარში.

—

გაჭიანურებული სხდომა. ქალაქს ვენაში რეისსტაგის სხდომა 17 (29) ოქტომბერს დაწყებულა საღამოს 7 საათზე და მეორე დღის 4 საათ. 55 წ. კიდევ არ ყოფილა გათავებული. ასეთი გაგრძელება სხდომისა ჯერ არსად მომხდარა და ყველას უკვირს ეს ამბავი. გერმანელს პროგრესსისტს ლეხერს სიტყვის ნება მისცეს საღამოს 8½ საათზე, მთელი ღამე ილაპარაკა და მხოლოდ მეორე დილას 8¼ საათზე გაათავა თავისი გრძელი სიტყვა. ლაპარაკის დროს ოპოზიციამ რამოდენჯერმე გამოითხოვა თავმჯდომარისაგან სხდომის შეწერება ორატორის, სტენოგრაფთა და მოსამსახურეთა შესასვენებლად და დარბაზის გასანიავებლად. დეპუტატნი უსტვენდნენ, მაგიდებზედ ხელ-ფეხსა სცემდნენ, ლანძღავდნენ პრეზიდენტებს, მინისტრებს, პოლონელებს და სხვ. პრეზიდენტნი აბრაჰამოვიჩი და კრამარში ყოველს ორ საათში იცვლებოდნენ და ლეხერს ათის წამის მოსვენებას აძლევდნენ. ოპოზიციის წევრნი ლეხერს აწვდიდნენ წყალს, ყავას, კონიაკს და ხანგრძლივის ხმაურობისა და ტაშის ცემით მოსასვენებლად დროს აძლევდნენ. ბევრს დეპუტატთაგანს იქვე დაეძინათ სკამებზე და ზოგნი რესტორანში მოთავსდნენ. იმ ღამის განმავლობაში რამოდენიმე ათასი ბოთლი ღვინო და ლუდი დაილია რეისსტაგის დარბაზში. დილით საჩქაროთ გააწყვეს დიდ ძალი პირის საბანები დეპუტატთათვის, რომელთაც გამოფხიზლება ეჭირვებოდათ. დილის 7 საათზე დარბაზში ჩააქრეს ელექტრონის სინათლე და ყველამ შესძახა „დილა მშვიდობისა!"

გრაფ ბადენმა რეისსტაგი დასტოვა ნაშუადღევის 2 საათზე და დაბრუნდა ისევ დილის 7½ საათზე. როდესაც დარბაზში შემოდიოდა დაცინვით მიაძახეს: „კარგად გამოიძინეთ?!"

ოპოზიციამ ლეხერს მიართვა დაფნის გვირგვინი.

⁂

განცხადებანი

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ:— ვინც ცნობებს საჭიროებს ჰსაჭიროებს კახეთში ღვინის ყიდვის საქმეში: ან არ ყოფილა კახეთ'ა და იმიტომ, ან გამოუცდელია და ეშინიან მოტყუებისა, ან გარემოების გამო თვით ვერ წამოვა, ხელ ქვეითის გამოგზავნა-კი შეუძლიან, ან წამოუსვლელად უნდა შეიტყოს, რა ფასებშია ღვინო, ვსთხოვთ, ყოველ შემთხვევაში წერილით თუ პირად მიჰმართონ ამ ადრესით: въ Телавъ. И. Зарапишвили, რაზედაც უსასყიდლოდ ყოველთვის ჯეროვანს პასუხს მიიღებენ.

ვსთხოვ ეს ჩემი განცხადება სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ. (4—1)

საზღვევი საზოგადოება

„იაკორი"

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
ღებულობს:

დაზღვევას ცეცხლისაგან

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან.

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა.

დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა.

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის ძე სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში, თავ. ციციშვილის სახლებში № 2.

Страховое Общество **„ЯКОРЪ"**

Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

Принимаетъ: Страхованіе отъ огня, страхованіе жизни и капиталовъ страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и страхованіе транспортовъ.

Контора Тифлисскаго Главнаго Агента, Александра Григорьевича Сергѣева

на углу Эриванской площади, д. кн. Циціанова № 2.

(100—66)



Торговля

П. Ланко

Складъ

Мебели, лампъ, обоевъ и пр.

Торговля П. Ланко

БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ

Обоевъ, лампъ. мебели.

СКЛАДЪ

нотъ, музыкальныхъ инструментовъ, піанино, рояли и пр.

პ. ლანკოს სავაჭროში

დაწიუნულია

დიდი საწყობი

იყიდება მუდამ იაფად ყოველგვარი

მუსიკალური იარაღები, როიალები, ავეჯი, ლამფები, შპალერები და სხვ.

Тифлисъ, Дворцовая ул. д. Грузинскаго Дворянства (въ галерею)

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლაში.

(10—6)

საფქვავი

წისქვილები

მზადდება ინჟენერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში

МУКОМОЛЬНЫЯ

МЕЛЬНИЦЫ

паровыя, водяныя, конно-приводныя

изготовляетъ какъ спеціяльность

машино-строительный заводъ инженеровъ

Яралова и Алиханова

въ Тифлисѣ,

Александровская улица, собств. домъ

(6—4)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,)

3) **Арифметики на счетахъ,**

4) **Коммерческой экономіи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—79)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

Подписной годъ съ 1-го октября 1897 г. по 1-е октября 1898 г.

на

ежемѣсячный научно-литературный и политическій журналъ

НОВОЕ СЛОВО

Выходитъ ежемѣсячно отъ 25 до 30 печатныхъ листовъ.

Редакція **«Новаго Слова»**, кромѣ общихъ задачъ научно-литературнаго журнала, ставитъ себѣ цѣлью освѣщеніе явленій жизни Россіи и сопоставленіе ея съ условіями и фактами жизни иностранной. Въ виду этого помимо постоянныхъ отдѣловъ („Текущіе вопросы внутренней жизни", „Факты и цифры изъ русской дѣйствительности", „Изъ жизни провинціи" и „Иностранное обозрѣніе") въ журналѣ помѣщаются еще **«Письма изъ провинціи» и Письма изъ-за границы».**

Будучи свободной отъ мѣстныхъ вліяній и воздѣйствій и придавая серьезное значеніе освѣщенію различныхъ явленій провинціальной жизни, редакція «Новаго Слова» проситъ лицъ, сочувствующихъ цѣлямъ журнала, оказать ей содѣйствіе въ развитіи провинціальнаго отдѣла какъ **доставкою фактическаго матеріала,** такъ и **присылкою корреспонденціи.**

Редакція стремится давать **въ библіографическомъ отдѣлѣ** своевременные отзывы о всѣхъ выдающихся произведеніяхъ нашей литературы, и поэтому обращается съ просьбой къ издателямъ о присылкѣ вновь выходящихъ изданій.

При новомъ составѣ редакціи въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица:

К. С. Баранцевичъ, проф. И. И. Боргманъ, С. Н. Булгаковъ, В. П. Быстренинъ, Ю. Н. Вагнеръ, В. Вересаевъ, проф. П. Г. Виноградовъ, В. В. Водовозовъ, Н. Гаринъ (Н. Г. Михайловскій), М. О. Гершензонъ, М. Горькій (А. М. Пѣшковъ), И. А. Гурвичъ, К. Ельцова, А. М. Калмыкова, Л. Ф. Кржививцкій, проф. П. Ф. Лесгафтъ, Г. А. Мачтетъ, проф. П. Н. Милюковъ, В. Г. Михайловскій, Вл. И. Немировичъ-Данченко, проф. Д. Н. Овсянико-Куликовскій, А. В. Погожевъ, В. А. Поссе, И. Н. Потапенко, Д. Д. Протопоповъ, В. Я. Свѣтловъ, М. Н. Семеновъ, П. Б. Струве, В. Л. Сѣрошевскій, М. И. Туганъ-Барановскій, В. А. Фаусекъ, Максъ Ферворнъ (проф. Іенскаго унив.), проф. Н. А. Холодковскій, Е. Н. Чириковъ, Т. Цигенъ (Th. Sieĥen, проф. Іенскаго унив.), А. С. Шабельская, О. А. Шапиръ, Ф. Ф. Эрисманъ, А. И. Эртель, В. Я. Яковлевъ и др.

Подписной годъ съ 1-го октября.

Подписная цѣна съ пересылкой на годъ . . 10 р. — к.
„ „ „ „ на полгода . . 5 „ — „
„ „ „ „ на три мѣсяца . 2 „ 50 „
„ „ безъ пересылки на годъ . . 9 „ — „
„ „ съ перес. за границу на годъ . . 12 „ — „

Адресъ **конторы редакціи:** Спб. Спасская ул. (уг. Надеждинской), д. 15, кв. 1.

Отдѣленія конторы: Въ С.-петербургѣ—1) Невскій пр., д. 54, **«Библіотека Черкесова»,** 2] Книжный складъ А. М. Калмыковой, Литейный пр. № 60. Въ Москвѣ: книжный магазинъ «Трудъ», Тверская, д. Спиридонова.

Книжные магазины, при полной годовой подписной платѣ, пользуются уступкой 40 к. съ экземпляра. Подписка по частямъ года допускается только черезъ контору редакціи и ея отдѣленія.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Октября 1897 г. სტამბა ქ. ი. ხელაძის, დოროს-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია